საჯარო სამართლის იურიდიული პირი იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების
დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის– იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 26-ე და 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის,უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის" შესახებ დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი"-ს საფუძველზე (დამტკიცებულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 მაისის სხდომაზე, ოქმი #16), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის შორენა ლაზვიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (17/07/2024 წ; N871197), აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფა ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის ლევან შავაძის სამსახურებროვი ბარათის (18/07/2024 წ; N880467) და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის N 18 ოქმის მე-5 საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვბრძანე

1.გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, მიმდინარე წლის 22 ივლისიდან სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგ ფაკულტეტებზე;

1.2.

- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

ქართული ენის მიმართულება

- ასისტენტ- პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული, (აფილირებული) 4 წლით;

1.3. აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფა ტექნოლოგიების ფაკულტეტი

- **ალკოჰოლური პროდუქტების ტექნოლოგიის მიმართულება**

  პროფესორის 1 საშტატო ერთეული (აფილირებული) 6 წლით;

- **უალკოჰოლო პროდუქტების ტექნოლოგიის მიმართულება**

  ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული (აფილირებული) 6 წლით;

- **ფიზიკის მიმართულება**

  ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეული (აფილირებული) 4 წლით;

2.კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი N15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების" მიხედვით;

3.კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2024 წლის 22 აგვისტოს 10:00 საათზე და დასრულდეს 2024 წლის 2 სექტემბერს 17:00 საათზე;

4. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე, №214 ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე,

5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2024 წლის 5 სექტემბერი;

6. .დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ს. რამაზაშვილს) განცხადების გაზეთში გამოქვეყნება;

7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის უფროსს(ქ. ხმალაძე);

8.დაევალოს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

9. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

10. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებს;

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

12.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).